სახელმწიფო შესყიდვია შესახებ ხელშეკრულება N 5/5

თბილისი „24“ „12“ 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის ვალერი კვარაცხელიას სახით, და მეორე მხრივ, შპს „დელტა-ნეტი“ შემდგომში მისი დირექტორის პაატა ქიქოძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ალტერნატიული ინტერნეტ მომსახურების (CPV72400000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველს გაუწიოს აღნიშნული მომსახურება 10800 (ათი ათას რვაასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ალტერნატიული ინტერნეტ მომსახურების უზრუნველყოფა დანართი №2-ის შესაბამისად.
3.2 ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 900 (ცხრაასი) ლარს;

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი
4.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. მომსახურების გაწევა მოხდება შემდეგ მისამართზე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველთვიურად, მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოება ყოველთვიურად, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი 1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
7.1.2. უზრუნველყოს გაწეულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.

7.1.3. უზრუნველყოს ინტერნეტ კავშირისთვის საჭირო კომუნიკაციების მომსახურება და დაზიანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით მიმწოდებლის წერტილიდან სადემარკაციო წერტილამდე, რომელიც განსაზღვრულია დამკვეთთან დამონტაჟებულ მედიაკონვერტორამდე ჩათვლით.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2.2. უზრუნველყოს მიმწოდებლის წარმომადგენელთა დაშვება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში პირველადი ინსტალაციის უზრუნველსაყოფად და ტექნიკური გაუმართაობის აღმოსაფხვრელად.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საჭიროების შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება ვადაზე ადრე, ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და/ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1% ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ივანე გოლიაძე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

15.3. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (---გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

„შემსყიდველი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო კოდი: #211333957
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. #144.
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222)
ა/ა 200122900

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „დელტა-ნეტი“
ქ. თბილისი, გაფრინდაულის ქ. №2
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
კოდი BAGAGE22
ანგ. № GE48BG0000000620788500
ს/კ №404398503

შალვა ქოქომე
დირექტორი

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. გოლიაძე

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

ი. გვასალია

შემსრულებელი: ზ. ფესვიანიძე

დანართი №1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების
მიღება – ჩაბარების

ქ. თბილისი „——“ ———— 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ბატონი

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი _____
(ორგანიზაციის დასახელება)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია მომსახურება _____.
(თარიღი)

2016 წლის „___“ „_____“ № ____ ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს _____.
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

_____ თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა:
(თვის დასახელება)

_____
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია _____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ანაზღაურებულია _____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	

ბ. ა.

დანართი 2

შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

1. ინტერნეტ სერვისის მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შენობაში განთავსებულ მონაცემთა ცენტრში (თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144).
2. კომუნიკაცია: ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხი (საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ყველა ხარჯი მომწოდებელს ეკისრება).
3. სიჩქარე : გლობალური - 20 მბ/წმ გარანტირებული სიმეტრიული, ლოკალური - 100 მბ/წმ გარანტირებული სიმეტრიული.
4. სტატიკური IP მისამართების გამოყოფა - SUBNET/28 მასკა - 2 ერთეული, SUBNET/29 მასკა - 1 ერთეული.
5. მინიმუმ 2 საერთაშორისო არხის არსებობა.
6. Ping-ის დრო გლობალურ დაუტვირთავ არხზე არაუმეტეს 50 მილიწამისა თითოეული მიმართულებით.
7. პაკეტების დანაკარგი არაუმეტეს 0,1%.
8. ყოველთვიური არასამუშაო დრო (Downtime) არაუმეტეს 3 საათისა.

ვალერი კვარაცხელია
მინისტრის მოადგილე

ზურაბ ქიქოძე
დირექტორი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„29“ „12“ 2015 წ. თბილისი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ რომ, შპს „დელტა–ნეტ“–ის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვიზა: ვ. კვარაცხელია

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ვ. გოლიაძე

ი. აბრამიშვილი

შემსრულებელი: ზ. ფესვიანიძე